



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

[www.ozurgeti.gov.ge](http://www.ozurgeti.gov.ge)

ქ.ოზურგეთი

N 25  
31/01/2017

25-03-4-201701311651



## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### მურმანი ჭელიძესთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „კ“ პუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის, „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს მე-6 მუხლისა და „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც შტატგარეშე მოსამსახურე აყვანილ იქნას მურმანი ჭელიძე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში ექსპერტ-კონსულტანტის თანამდებობაზე 2017 წლის 1 თებერვლიდან.


2. ბრძანებას თან ერთვის მურმანი ჭელიძესთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;

3. ბრძანება გადაეგზავნოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ოზურგეთი ი.სიორიძის ქ. N14)

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა